

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის
N44 ბინაზე, მოქალაქე იზოლდა ნუცუბიძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N44 ბინაში მცხოვრები მოქალაქე იზოლდა ნუცუბიძის განცხადება /2012 წლის 13.08 N6-6029/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N44 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N44 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე იზოლდა ნუცუბიძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /გ.აბულაძე/, ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N219 საცხოვრებელი სახლის N44 ბინაზე /საერთო ფართობი 60,93 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,37 კვ.მ, დამხმარე ფართობი 25,56 კვ.მ./ მოქალაქე იზოლდა ნუცუბიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ი.ჯიქია